



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და
სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ შორის

ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდეგში - ადმინისტრაცია), წარმოდგენილი მისი უფროსის, გიორგი აბაშიშვილის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ (შემდეგში-ასოციაცია), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, დავით ასათიანის სახით, გამოხატავენ ურთიერთპატივისცემას და თანხმდებიან თანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ასოციაციასა და ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება ასოციაციის მიერ იმ ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მხარდაჭერისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოში 2005-2012 წლებში რეპრესირებული ადვოკატებისა და 05.12.2012 წლის N76-ის დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ან დევნილ პირად მიჩნეული მსჯავრდებულების საქმეების შესწავლასა და სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მარეაბილიტირებელი გარემოებების დადგენას, რაც შესაძლებლობას მისცემს პირს აღიდგინოს სამართლიანი სასამართლოს დარღვეული უფლება.

2. თანამშრომლობის ამოცანები

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე:

1. ასოციაცია უზრუნველყოფს, მის მიერ 2018 წლის 12 თებერვალს შექმნილი „უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის“ დროებითი კომისიის (შემდეგში - კომისია) გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას.

2. ასოციაცია უზრუნველყოფს, რომ კომისიის საქმიანობა და მათი შეფასებები თუ დასკვნები იყოს ობიექტური, სამართლიანი, კვალიფიციური.

3. ადმინისტრაცია მიესალმება ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობას და მზად არის მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მხარდაჭერისათვის.

3. დასკვნითი დებულებები

ა) მემორანდუმის საფუძველზე ცალკეული ღონისძიებების მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება ადმინისტრაციასა და ასოციაციას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა ან გაუქმება ხდება მხარეთა შეთანხმებით;

გ) ნებისმიერ მხარეს შეუძლია ამ მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული შეტყობინება შესაბამის მხარეს უნდა მიეწოდოს გაუქმების თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე;

დ) წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს მემორანდუმის სხვა დებულებების ბათილად ცნობასა და მემორანდუმის გაუქმებას მთლიანად;

ე) ამ მემორანდუმსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) მხარეები იღებენ ვალდებულებას ურთიერთთანამშრომლობის პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისთვის და დადგენილი წესით და დაიცვან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ზ) მხარეები ოფიციალური კომუნიკაციისათვის იყენებენ შემდეგ მისამართებს:

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია“

საქართველო, ქ. თბილისი 0103, მალხაზ აბდუშელიშვილის ქ. №1,

ტელეფონი: +995322282736

ვებგვერდი: www.president.gov.ge

ელ. ფოსტა: mail@president.gov.ge

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

საქართველო, ქ. თბილისი, 0108, ძმები ზუბალაშვილების ქ. № 36.

ტელეფონი: +995322224654

ვებგვერდი: www.gba.ge

ელ.ფოსტა: info@gba.ge

- თ) წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;
- ი) მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და ძალაშია ამ მემორანდუმის 2.1 მუხლით გათვალისწინებული პროექტის დასრულებამდე.

4. მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსი



გიორგი აბაშიშვილი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის“ თავმჯდომარე



დავით ასათიანი

02 აპრილი, 2018 წელი

ქ. თბილისი